პროლეტარიტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) შუნაგლური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მზრუნველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოსდის 29-ე წელი

ქვირა, 1 აგვისტო, 1948 წ. № 152 (8196). ფასი 20 კაპ.

დღეს რკინიგზელთა საკავშირო სწავლინური დღეა
ბოლშევიკური საღამი სოციალიზმის ქვეყნის ჩამნველოვან პაჭრიოჭებს—საბჭოთა რკინიგზელებს!



თბილისის სარკინიგზო დეპოს მოწინავე ლოკომოტივები (მარცხნიდან მარჯვნივ): სამრეცხაო საამქროს უფროსი შ. ბიზანაშვილი, უფროსი მემანქანეები ს. ელოშვილი, მ. კოკოლაშვილი და ნ. ბოლნაშვილი, მემანქანე შ. ზურაბაშვილი ლ.

ფოტო ვ. გიორგაძისა.

ახალ-ახალი წარმატებებისაკენ, საბჭოთა რკინიგზელებო!

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახელოვანი მეშთა კლასის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — საბჭოთა რკინიგზელები დღეს მეცამეტეჯერ აღნიშნავენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს—რკინიგზელთა საკავშირო სტალინურ დღეს. ცამეტი წლის წინათ, 1935 წლის ივლისში, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა მიღებაზე კრემლში დიდმა სტალინმა დადებითად შეაფასა რკინიგზელთა მიერ მოპოვებული წარმატებანი და ამავე დროს მოუწოდა მათ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით უზრუნველეყოთ რკინიგზის ტრანსპორტის განუხრელი აღმავლობა. „ჩვენი სახელმწიფოს არსებობა და განვითარება,—სთქვა ამხანაგმა სტალინმა,—სახელმწიფოსი, რომელიც თავისი სიდიდით სჭარბობს მსოფლიოს თვითეულ სახელმწიფოს, მათ შორის ინგლისსაც თავისი კოლონიებით (დომინიონების ჩათვლით), წარმოუდგენელია თუ მოწესრიგებული არ იქნება რკინიგზის ტრანსპორტი, რომელიც ჩვენი ქეყნის ვეებრთელა ოლქებს აკავშირებს ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ ერთეულად“.

გენიალური ბელადის მიერ დასახული პროგრამის განსახორციელებლად საბჭოთა რკინიგზელებმა ბევრი რამ გააკეთეს. ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტი ომამდელ სტალინურ ხუთწლედებში განუხრელი აღმავლობის გზით მიდიოდა წინ, შეუფერხებელ მოსახურებას უწევდა საბჭოთა ხალხს, სოციალისტურ სახალხო მეურნეობას.

ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს საბჭოთა რკინიგზელებმა ჩვენს სამშობლოს, გმირ საბჭოთა არმიას დიდი სამამეული ომის წლებში ვერაგ მტერზე გამარჯვების მოპოვებაში.

კიდევ უფრო დიდი ამოცანები დაისახა საბჭოთა რკინიგზელების წინაშე ომისშემდგომ სტალინური ხუთწლედში. მათ სწრაფად უნდა აღდგინათ მტრის მიერ დანგრეული რკინიგზის ტრანსპორტი, შეუფერხებელი მომსახურება გაეწიათ ფართოდ განაღებული აღდგენით სამშოებისათვის, უზრუნველეყოთ ტვირთბრუნვა და მგზავრთა გადაყვანის გაზრდილი პროგრამის განხორციელება.

რკინიგზელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობით, მათ მოკლე დროში შეასწეს რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა, მისი აღმურვა მოძრავი შემადგენლობით, ტვირთნიდვისა და მგზავრთა გადაყვანის უზრუნველყოფა. რკინიგზელები თვიდან თვემდე ადიდებენ ტვირთბრუნვას, აუმჯობესებენ მგზავრთა მომსახურებას, სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვით აღწევენ ახალ-ახალ წარმატებას.

გასულ წელს რკინიგზაზე წარმოიშვა ტიმოშოველთა მოძრაობა მტრის მიერ განადგურებული ორთქლმავლებისა და ვაგონების დეპოებშიე აღსადგენად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ, რამაც მთელ გზაზე ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა. ამ პატრიოტული მოძრაობის შედეგად მარტო გასულ წელს ტრანსპორტმა დამატებით მიიღო 2.100 აღდგენილი ორთქლმავალი და 1.090 სამგზავრო ვაგონი.

ამას წინათ რკინიგზის ტრანსპორტზე კვლავ ახალი მოძრაობა წარმოიშვა, რასაც რკინიგზელებმა მორეოზოველი მოძრაობა უწოდეს. სტალინგრადის რკინიგზის სადგურ მორეოზოოს მორთოქლმავლებმა მოაწყეს პერის ბადასაზიდი ვაგონების რემონტი. მორეოზოველთა ამ თაოსნობას არა მარტო მეორთოქლმავლენი და სხვა სამსახურის მუშაკები გამოეხმაურნენ, არამედ მას გამოეხმაურა მრავალი სამრეწველო საწარმოს კოლექტივიც. მორეოზოველთა ძალებით უკვე გარემონტებულია 8 ათას ვაგონზე მეტი.

ასიათასოვანთა მოძრაობა, მძიმე წონის მატარებლების ტარება, ბრძოლა საწვავის მომჭირნეობისათვის, უწონო და უვაერო მუშაობისათვის, ვაგონების მოცდენის შემცირებისა და ტექნიკური სიჩქარის გადიდებისათვის, რკინიგზის ტრანსპორტზე გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმებია.

რკინიგზელთა საკავშირო დღეს თვალსაჩინო მიღწევებით ხვდებიან ამერიკაკავასიის რკინიგზელებიც, რომლებსაც რკინიგზელთა დიდ ოჯახში მეედან ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავთ. ამერიკაკავასიის რკინიგზელებმა დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა 124,3 პროცენტით შეასრულეს, ხოლო გადმოტვირთვისა—106,4 პროცენტით. ამასთანავე თვალსაჩინო გადაჭარბებით არის შესრულებული უმნიშვნელოვანესი ტვირთების — ქვანახშირის, ნავთპროდუქტების, მადნეულის, ცემენტის გადაზიდვის დავალებანი. განვლილ ექვს თვესა და ათ დღეში ამერიკაკავასიის რკინიგზელებმა ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით დატვირთეს და გადმოტვირთეს ათი ათასობით ვაგონი.

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურება, გაჩარაულა სამგზავრო მატარებელთა რიცხვი, აღმოიფხვრა რიგები სამილეთო სალაროებთან, შეკეთებული და კეთილმოწყობილია ვაგზლის მრავალი შენობა, შენდება ახალი ვაგზლები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში სამკურნალოდ და დასასვენებლად მიმავალ მგზავრებს.

დიდი მუშაობაა გაწეული რკინიგზის ახალი ლიანდაგების გაყვანის, ელექტროფიკაციის. სასადგურო შენობების და საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დარგში.

ჩვენმა რკინიგზელებმა ეს წარმატებანი მოიპოვეს სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესებით, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებით, იმ მუდმივი მზრუნველობის შედეგად, რასაც რკინიგზის ტრანსპორტისადმი იჩენენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მაგრამ მოპოვებულ წარმატებებთან, ერთად, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობას ჯერ კიდევ მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი აქვს. სამეურნეო წლის პირველ ნახევარში შეუსრულებელია ვაგონების, ორთქლმავლებისა და ელექტრომავლების საშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმები, დიდია ვაგონების უნაყოფო მოცდენა, რაც იწვევს ტვირთხდვის თვითღირებულების გადიდებას. ეს კი თავის მხრივ გაელენას ახდენს გზის საფინანსო მდგომარეობაზე, რენტაბელურ მუშაობაზე.

გზის ნორმალურ მუშაობას საგრძნობლად აფერხებენ აგრეთვე ის კლეტენები, რომლებიც დროულად არ აწარმოებენ ვაგონების გადმოტვირთვას და საწყობებიდან ტვირთების გაზიდვას.

ჩვენი სამშობლოს მზარდი სოციალისტური სახალხო მეურნეობა დღითი დღე გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს რკინიგზის ტრანსპორტს. რკინიგზის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა წარმატებით დაკმაყოფილება რკინიგზის სამეურნეო ხელმძღვანელობის, პარტიული ორგანიზაციების, თვითეული რკინიგზელის სახელისა და ღირსების საქმეა.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ—7 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲠᲗᲐᲕ-ᲡᲐᲭᲠᲘᲙᲝᲭᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲭᲘᲕᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ

თბილისის სართავ-საჭრიკოჯაქო კომბინატის კოლექტივმა ივნისის მეუმაობის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს შორის წელს მეხუთედ მოიპოვა მეორე ადგილი და ფულადი პრემია 80 ათასი მანეთის რაოდენობით.

საერთო პროდუქციის გამოშვების ივნისის გეგმა კომბინატმა 122,9 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციისა — 122,9, ეროფეიერიანი საქსოვი ნართისა — 111,4, დაკოდილი ნართისა — 115,2, ხოლო ქალის წინდებისა — 113,9 პროცენტით.

ივნისში განსაკუთრებით დაწინაურდა სატრიკოტაჟო ფაბრიკის საკოტონ სამამრო, რომელსაც გადაეცა კომბინატის გარდამავალი წითელი დროშა.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით განსაკუთრებით ისახელეს თავი სტახანოველებმა ს. თეთრაძემ, ვ. ვინეგრადინამ, მ. ბერძენიშვილმა, თ. აბესაძემ, ვ. სტრელნიკოვამ, მ. კოზმენკომ, მ. ხარაბაშვილმა, თ. ბარნაბიშვილმა, მ. ფისენკომ, მ. მეგრელიშვილმა, მარა ფინონ ვეფხვიეფმა, რომლებმაც ივნისის დავალებანი 140-196 პროცენტით გაანაღდეს.

კომბინატის კოლექტივმა ვადაზე 11 დღით ადრე, 19 ივნისისათვის შეასრულა ნახევარი წლის გეგმა; შვიდი თვის დავალება სართავმა ფაბრიკამ გაანაღდა 15 ივნისს, ხოლო სატრიკოტაჟო ფაბრიკამ — 22 ივნისს.

კომბინატის კოლექტივმა, რომელიც აგვისტოს ანგარიშში უმეტეს პროდუქციას, 29 ივლისისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 44 ტონა ეროფეიერიანი ნართი, 40 ტონა დაკრეხილი ნართი და 18 ათასი წყვილი წინდა.

ს. თევდორაძე

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ ᲘᲚᲔᲑᲔᲜ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ

ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში შესანიშნავ წარმატებას აღწევენ ტყიბულის ადგილობრივი მრეწველობის ქვანახშირის წარმოება (უფროსი გ. გორგიძე), რომელიც სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის ამოღების გეგმას. 22 ივლისს წარმოებამ შეასრულა წლიური გეგმა და ამავე დღეს ხუთწლედის მეოთხე წლის ანგარიშში მეორე ცვლამ ამოიღო ას ტონაზე მეტი ქვანახშირი.

წარმოების ყველაზე მოწინავე ცვლამ, რომელსაც ს. გიორგობაძისი ხელმძღვანელობს, 21 ივლისს დაამთავრა გეგმის შესრულება. სტახანოველმა მეშახტეებმა კ. გაბელაშვილმა, ფ. ზოსიმაშვილმა, ვ. გომელაშვილმა და სხვებმა ეფექტიანი წლის გეგმები გაანაღდეს.

წარმოების კოლექტივმა იუსრა დიდი ოქტომბრის 31-ე წლისთავისათვის შეასრულოს წლინახევრის გეგმა

ს. მეძრაველაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ᲛᲔᲯᲒᲠᲔᲯᲔ ᲛᲔᲥᲐᲠᲐᲛᲘᲯᲔᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲐ

მეტეხის აგურ-კრამიტის ქარხნის მეშუმათა კოლექტივმა (დირექტორი ამხ. გ. ჯაშიაშვილი) ივლისში მორიგი გადარჯვება მოიპოვა. ქარხანამ მზა პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა 27 ივლისისათვის 127 პროცენტით შეასრულა, ხოლო 7 თვისა იმავე რიცხვისათვის შესრულებულია 116 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 1,6 პროცენტით.

ქარხანაში სტახანოვური მუშაობით სახელი გაითქვეს საკრამიტე სამამქროს მეშუმემა. თიხის მზელაემა გ. გეგულაშვილმა 6 თვესა და 25 დღეში 14 თვის გეგმა შეასრულა. კრამიტის დამაღალი ბრალებმა ბ. გეგულაშვილმა და მ. ახმეფარაშვილმა დაგაღლილნი 150 პროცენტით გაანაღდეს. ნ. შარიფაშვილი გეგმას ორ-სამმაგად ასრულებს. ქარხნის კოლექტივი იბრძვის წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად.

ვ. ბუზალაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ᲬᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ტყვარჩელის ბერიას სახელობის თბოელსადგურის კოლექტივი, რომელიც წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად იბრძვის, ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებას აღწევს. ელექტროსადგურმა 13 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულა ელექტრენერგიის გამომუშავების 7 თვის გეგმა. ძრდინარე წლის დასაწყისიდან დაზოგილი 1.300 ტონა საწვავი. კილოვატსაათი ენერგიის თვითღირებულება შემცირდა 4 პროცენტით, სახელმწიფოს მისცეს 300 ათასი მანეთი მოგება.

ბ. ჩაჩიბაია

„კომუნისტის“ კორესპონდენტი

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲜᲐᲠᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲤᲔᲜᲐ

30 ივლისს მოსკოვში, ჯორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის გამოფენა.

გამოფენის გახსნის ცერემონიას, რაც გაიმართა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთული დიდი პავილიონის წინ, დაესწრნენ: მოსკოვს სპეციალურად ჩამოსული ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი ა. გრეგორი, მრეწველობის მინისტრი ბ-ნი ა. კლიმენტი, მინდვრის-რობის მინისტრი ბ-ნი ფ. კრაჩმერი და სხვები; ჩეხოსლოვაკიის სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ვ. ლამტონიჩკა, ვაჭრობის საქმეთა რწმენებული სსრ კავშირში ბ-ნი ი. ფირლენგერი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის საგაჭრო პალატის გენერალური მდივანი ბ-ნი ო. კოგიუტი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ძოადგილე ვ. ა. ზორინი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. ფ. სემიჩასტნოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ფ. მოსოლოვი, სრულიად საკავშირო საგაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი და სხვები.

მ. ვ. ნესტეროვმა, რომელმაც მისალმება წარმოსთქვა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოფენა ხელს შეუწყობს ორი მეგობარი ხალხის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

ბ-ნი ა. კლიმენტი რუსულ ენაზე წარმოთქმული სიტყვით ჩეხოსლოვაკიის მთავრობის სახელით გულთბილად მიესალმა საბჭოთა ხალხს, გმირ საბჭოთა არმიას, გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს. მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირმა დიდი დახმარება გაუწია ჩეხოსლოვაკიის ომისშემდგომი ეკონომიკის აღორძინებაში.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა ა. გრეგორმა.

— მოსკოვში ამ გამოფენის მოწყობით,—განაცხადა მან, — ჩვენს მთავრობას სურს ხაზგასმით აღნიშნოს, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს იგი ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას.

ეს გამოფენა, განაგრძო მინისტრმა, არის ჩვენი მეშთა კლასის შრომის შედეგთა ფართო ჩვენება, მეშთა კლასისა, რომელმაც ყველა მშრომელთან ერთად ამა წლის თებერვლის ისტორიულ დღეებშე დაამტკიცა რეაქცია და, ამრიგად, გზა გაუფაფა სოციალიზმს.

ჩვენს ყველა წარმატებას, ჩვენს თავისუფლებას, უწინარეს ყოვლისა უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა კავშირის ხალხებს, სახელოვან საბჭოთა არმიას და დიდ ბელადს — გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს.

ბ-ნმა გრეგორმა მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის სიგარეო ვაჭრობის მინისტრს ა. ი. მიკოიანს, რომელიც ხელს უწყობს ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას.

ორკესტრი ასრულებს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნებს. ბ-ნი ა. გრეგორი სჭრის გამოფენის პავილიონის მთავარ შესასვლელზე გაბმულ ლენტს. აკ. ცენტრში, ბოლტაშენტზე არის ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ეკრანი და რესპუბლიკის პრეზიდენტ კლიმენტ გოტვალდის დიდი პორტრეტი.

გამოფენის მნახველნი ინტერესით ათვალიერებენ ათასობით სხვა და სხვა ექსპონატს — ჩეხოსლოვაკიის მსუბუქი მრეწველობის ხუთასი მსხვილი საწარმოს პროდუქციას. გამოფენა ცხადყოფს, რომ ჩეხოსლოვაკიელმა მუშებმა, რომლებმაც თავისუფალი შრომის სიხარული ეგემეს, მოკლე დროში შესძლეს შესანიშნავი წარმატებანი მოეპოვებინათ. თავიანთი მრეწველობის აღორძინებაში.

მრავალ სტანდზე და ვიტრინაში ფართოდ არის წარმოდგენილი საფეიერო საქონელი, ფეხსაცმელი, ფაიფური, ბრილი, კერამიკა, ავეჯი, მტოტოცალები, ველოსიპედები, ჭურჭელი, ბავშვის სათამაშო და სხვ.

პირველ დღეს გამოფენა დაათვალიერა ათასობით მოსკოველმა — დედაქალაქის საწარმოებისა და საავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, სამინისტროების პასუხისმგებლელმა თანამშრომლებმა.

გამოფენა ნახეს მოსკოფში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა, აგრეთვე უცხოელთა საჭირო დელეგაციის წევრებმა.

გამოფენა 12 აგვისტომდე გაგრძელდება. (საკვლევი).

ᲛᲝᲡᲐᲚᲔᲚᲘ ᲐᲦᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ჩვენი ქეყნის კოლმეურნეობებსა და გლეხურ მეურნეობებში აღებულია ძოელი მარცვლეული კულტურების მოსავლის შესამედნე მტი. 25 ივლისსათვის კოლმეურნეობებმა 9 მილიონ ჰექტარით მეტი პურეული მომკეს, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში. ბეთ ტემშები თანდათან ძლიერდება. მარტო უკანასკნელ ხუთდღიურში პური აღებულია 6 მილიონზე მეტ ჰექტარზე.

სამხრეთის მინდორებზე აღებულია ნახევარზე მეტი მოსავალი. პირველ ადგილზეა ყირიმის ოლქი, რომელშაც მოსავლის აღების გეგმა 84 პროცენტით შეასრულა. გაჩაღებულია მასობრივი მკა ჩვენი ქეყენის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებში. ჩაღდება მოსავლის აღება კურგანის, ჩელიაბინსკის, ვოლოგდის, კალინინგრადის ოლქებში, ზღვისპირეთის მხარეში.

ალტაის მხარის ობლასს, ნოვოსიბირსკისა და ციმბირის სხვა ოლქებში შეუდგნენ შემოდგომის ნათესი პურეულის მკას, რომელიც ყველაან კარგ მდგომარეობაშია. შემოდის გაზაფხულის ნათესი ხორბალი. ციმბირის კოლმეურნეობები ენერგიულად ემზადებიან მის ასაღებად. (საკვლევი).

ᲡᲐᲛᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲤᲘᲠᲐᲥᲘ

30 ივლისს მოსკოვში "შესდგა სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი სესხის მოგებთა ძირიგი ტირაჟი. გათამაშებულ იქნა 4.650.200 მანეთის 8.500 მოგება.

50 ათასი მანეთი მოგება ხვდა 71073 სერიის № 35 ობლიგაციას და 72826 სერიის № 30 ობლიგაციას.

ოცდახუთ-ოცდახუთი ათასი მანეთი მოიგეს 8614 სერიის № 43, 75660 სერიის № 42, 72434 სერიის № 44, 12014 სერიის № 17, 12427 სერიის № 01 ობლიგაციათა მფლობელებმა.

25 ობლიგაციას ხვდა ათ-ათი ათასი მანეთი მოგება და 80 ობლიგაციას — ხუთ-ხუთი ათასი მანეთი მოგება და სხვ.

ამ სესხის შემდეგი ძირითადი ტირაჟი შესდგება 30 სექტემბერს. ამ დღეს მოეწყობა აგრეთვე სამპროცენტიანი სესხის მოგება ია დამატებითი ტირაჟი. მოგებათა შორის არის ერთი 100.000 მანეთიანი და ხუთი 50.000 მანეთიანი მოგება. (საკვლევი).

რესპუბლიკური პარტიული სკოლის მსმენელთა პირველი გამოშვება

ორი წლის წინათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან საკავშირო კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ორწლიანი პარტიული სკოლა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მოსამზადებლად და გადასამზადებლად. ორი წლის სერიოზული მუშაობის შემდეგ მოხდა სკოლის მსმენელთა პირველი გამოშვება. სახელმწიფო გამოცდებმა ცხადყოფა ამ ნაყოფიერი მუშაობის შედეგები, რაც ამ ორი წლის მანძილზე გასწია სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ და მსმენელებმა. სკოლის პარტიულ და საბჭოთა ფაკულტეტებზე მეცადინეობდა 151 ამხანაგი. სკოლა უყოფდა ყველა მსმენელსა დაამთავრა. წარჩინების დიპლომი მიიღო 34 კაცმა. 70 მსმენელის ცოდნა ფრიადსა და კარგზე იქნა შეფასებული. წარჩინებულთა შორის არიან ამხანაგები: ს. ესაძე, ი. აბლოთია, გ. ჯინჭარაძე, მ. ნიშნიანიძე, ა. ხელაშვილი, ა. შაფრანი, ი. კარქანი, ე. სიგუა, ი. ეგოროვი, გ. ჩხიკვაშელი, ი. ტარბა (პარტიულ-საორგანიზაციო ჯგუფი), გეთოა, ეს.ართია, ყანჩაველი, ჩლაიძე, ბეგაშვილი (საბჭოთა ჯგუფი), მოდებაძე, გაგუა, ეგუტია (პროპაგანდისტთა ჯგუფი), ვ. ათხაძე, ვ. ჯაფელი, ეკლიაშვილი, შევარდნაძე (რედაქტორთა ჯგუფი) და სხვები.

ორწლიანი პარტიული სკოლის მსმენელთა გამოშვებასთან ერთად მოხდა სკოლასთან არსებული 9-თვიანი პარტიული კურსების გამოშვება. კურსებზე სულ 98 პარტიული და საბჭოთა მუშაკი მეცადინეობდა. დაამთავრა 97 ამხანაგმა, ამათგან 16 კაცმა ფრიადი, ხოლო 30 კაცმა—კარგი შეფასებით. ფრიადოსანთა შორის არიან გ. გოგეჯანშელი, გ. გოძიაშელი, ვ. გეგეშავა, ა. მიქიუტაძე, ბ. პეტრიაშელი, გ. ლუარსაბოვი, ა. ჩაფლიშელი, ი. ზარანდია და სხვები.

გუშინ, 31 ივლისს შესდგა სკოლის მსმენელთა პირველი გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია, საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ფ. ბერაძე, საქართველოს ტ. ს. ს. რ. ... ...

მხურვალე სალამი სახელოვან საბჭოთა რკინიგზელებს

თბილისელი მეელმავლეები მოწინავეთა რიგებში

თბილისის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივმა რკინიგზელის სტალინური დღის აღსანიშნავად მნიშვნელოვანი მოღვაწეები მოიპოვა. მეელმავლეებს ამჟამად ასეთი მაჩვენებლები აქვთ: ტვირთნიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 1 იანვარისათვის 107,8 პროცენტით, ელექტრომავლების საშუალო წლიური მეკილომეტრის გეგმა 6 თვესა და 2 დეკადაში შესასრულეს 125 პროცენტით, ხოლო აწეული ზეკეთების წლიური გეგმა 4 თვეში გაანადღეს. სტახანოვური განრიგით მუშაობის, მუშახელის სწორი განაწილებისა და ეკონომიის რეჟიმის მტკიცედ განხორციელების შედეგად სალოკომოტივო დეპოს კოლექტივმა ნახევარი წლის განმავლობაში საშობლოს მისცა 486.500 მანეთი დაგროვება, მაშინ როდესაც მეორე ნახევარ ჩქარდათ წლის განმავლობაში მიეცათ 300.000 მანეთი. დაგროვების ზრდას დიდად მეუფლო ხელი ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლამ და სახელმწიფო საკუთრების ბარეკეკაში მომზრინობის გაწევამ. ტონა ტვირთის გადაზიდვის თვითღირებულება 6 თვის მანძილზე შემცირებულ იქნა 10 პროცენტით, დაზოგილია 1.330.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ასეთი მიღწევები სალოკომოტივო დეპოში ამით მოიპოვა, რომ მთელი კოლექტივი ერთი აზრით, ერთი სულისკვეთებით იბრძოდა დასახული საწარმოო ამოცანების გისანაღდებლად.

სალოკომოტივო დეპოში წინათაც გვაყავდა მოწინავე ადამიანები. ჩვენ გადაეწყვეტეთ მათი მუშაობის მეთოდები გავეზოგადებინა და მიგვეღწია ისეთი მდგომარეობისათვის, რომ ყველა მოწინავე გამხდარიყო. პირველ რიგში მთავარი ყურადღება მივაქციეთ მემანქანეებსა და მემანქანეთა თანაშემწეებს შორის მუშაობას. წესად შემოვიღეთ ყოველდღიური ტექნიკური ლექციების მოწყობა.

თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეები, სხვათა შორის, პირველი ინიციატორები არიან მძიმე წონის მატარებლთა ტარებისა. წელს ჩვენმა მემანქანეებმა შესანიშნავი მიღწევები მოიპოვეს. მძიმე წონის მატარებლთა ტარების ოსტატებმა ვ. ოსაძემ, გ. ბიოუაშვილმა, ო. ლიკლიკაძემ, პ. ბოკვაძემ, ი. კახიშვილმა და ბ. ღღუნდუამ განვლილ 6 თვესა და 20 დღეში ნორმაზე გადამეტებით თითომ 100.000 ტონა ტვირთი გადაზიდა. ამ სახელოვან მემანქანეთა ბრიგადი ჩვენს კოლექტივს სხვა პროფესიის მრავალი საუკეთესო წარმომადგენელიც ყავს. ელექტროშენაკეთა ბ. ტატანაშვილმა, მაგალითად, ხუთწლეული დასაწყისიდან (2 წელიწადსა და 6 თვეში) 9 წლისა და 6 თვის გეგმა შეასრულა. ელექტროშემდუღებელმა ა. ბერეკაშვილმა, ა. არშაკუნმა, ძრავებზე დამუშავება დ. მარმარაძვილმა, მეაუქმელატორე კ. ჩიკვაიძემ ამაგე ხნის განმავლობაში რვა-რვა წლის ნორმა გაანადღეს. ასევე დიდი წარმატებით მუშაობენ ი. თეკორი, ი. პოპოვი, დურგალი მ. ჭრიმალოფსკი, მეუბნეი აზრუმელაშვილი, ზენინკალი ბ. ლაკაბიძე.

რკინიგზელის სტალინური დღისათვის მზადების დღეებში დეპოს კოლექტივი სტახანოვურ ვახტზე იდგა და ახალი საწარმოო მიღწევები მოიპოვა. ერთი ელმავალი მათ ვადაზე 5 დღით აღრე გამოუშვეს. მარტო 1 ივლისიდან 27 ივლისამდე დეპოს მეელმავლეებმა ნორმის გადამეტებით გადაზიდეს ათიათასობით ტონა ტვირთი.

ვ. ბაბუნია

თბილისის სალოკომოტივო დეპოს პარტბიუროს მდივანი

თბილისის სალოკომოტივო დეპო. სურათზე: პარტ ბიუროს მდივანი ვ. ბაბუნია (მარჯვენივ) ეხალბრება მძიმე წონის მატარებელთა ახალ ვარსკვლავებს, რომლებმაც ნაციონალური ვალდებულებანი შეასრულეს რკინიგზელის დღე ისათვის. (მარცხნივან) მემანქანეები—ვ. მშვენიერაძე, გ. ბერიაშვილი და ო. ლიკლიკაძე. ფოტო ვლ. ვინბერგისა.

წარჩინებული მეავგონეები

ვარლამ კარანაძე და შოთა კილაძე 1942 წელს ერთად მოვიდნენ სამეშოდ ქუთაისის სავაგონო დეპოში. მათ ზეწოლებმა ინიტიციტივებდა და საქმითსადმი ღრმა სიყვარულით, ყველაფერი ოსტატების დახმარებით კიდეც აისრულეს დასაბამი ბზახი. ორორი წლის მანძილზე ისინი წარმატებით მუშაობდნენ ზეინკლებად და მემდგომ ტრიენი მატარებლის გამსინჯველებად დაიწინაურეს, სადაც ამჟამადაც მეშაობენ. ურთიერთ შეჯიბრებაში ჩაბმული ახალგაზრდები სამაგალითოდ ასრულებენ მინდობილ საქმეს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათ 20-25 წუთითი ადრე არ შეედგინათ მატარებელი და რაიმე წუნი ჰქონოდეთ მუშაობაში.

რით აღწევენ ისინი ამ წარმატებას? ორივენი ყველაზე ადრე ცხადდებიან სამეშაოზე და ჩიჩნეიე აწარმოებენ ვაგონების გასინჯვას.

ასეთი ახალგაზრდები დეპოს ათობით ჰყავს. ახალგაზრდა თაობის სულ უფროფაფერო დაოსტატებისათვის დაუღალავად იბრძვიან ძველი კვალიფიციური სპეციალისტები. თვით დეპოს უფროსი ი. მერკვილიშვილი, რომელსაც რკინიგზაზე მეშაობის 25 წლის სტაჟი აქვს, მრავალი ახალგაზრდის აღმზრდელია. ვ. კარანაძე და შ. კილაძე დეპოს ეს სასახელო ახალგაზრდები მის აღზრდილნი არიან. ი. მერკვილიშვილის დამსახურება აღნიშნულია „სპასკენი რკინიგზელის", „სტალინური გაწვევის" და „წარჩინებული მეავგონის" ნიშნებით.

დეპოს უფროსს მხარს უჭერენენენ მრავალრიცხოვნენი ზეინკალი შ. ბუბულაძე, ოსტატები გ. ამაშუკელი, რ. სვანიძე, ნ. კილასონია და სხვები.

ამ მოწინავე ადამიანების დაუღალავი შრომის შედეგად, ქუთაისის სავაგონო დეპო ყველაზე მოწინავეა რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში. კარგა ხანია დეპო უწუნოდ და უავარიოდ მეშაობს.

რკინიგზელის საკავშირო სტალინური დღის აღსანიშნავად დეპოელები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და ივლისის უკანასკნელ დეკადაში გეგმის გადამეტებით წესრიგში მოიყვანეს 9 ვაგონი.

გ. მეფინასვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

საამაყო მაჩვენებლები

წლიური გეგმა — 1 სექტემბრისათვის

რკინიგზელის სტალინური დღისათვის მზადების პერიოდში დიდ გამარჯვებას მიაღწია ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის განყოფილების კოლექტივმა (განყოფილების უფროსი ამხ. ვარდოსანაძე). ნაკისრი ვალდებულებათა მიხედვით ივლისში მათ გეგმის გადამეტებით დატვირთვის ასობით მეტი ვაგონი და ამით შეასრულეს საერთო დატვირთვის 11 თვის გეგმა. ამავე დროს განყოფილების კოლექტივმა დანიშნულებისამებრ გაგზავნა 81 მძიმე წონის მატარებელი. ამ მიღწევათა მოპოვებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ტუაფსის, სოჭის, სოხუმის, ინგირის, ეშერის, კვეზანის და კელასურის სადგურთა კოლექტივებმა.

სოხუმელმა რკინიგზელებმა იკისრეს საერთო დატვირთვის წლიური გეგმა შეასრულონ 1 სექტემბრისათვის, ხოლო 7 ნოემბრამდე წლიური გეგმის გადამეტებით დატვირთონ 8.000 ვაგონი.

კომკავშირელი რკინიგზელების ინიციატივა

სამტრედიის სავაგონო დეპოს კომკავშირელებმა მოაწყეს მასობრივი კვირაობა პურის გადასაზიდ ვაგონების შესაკეთებლად. კვირაობის მონაწილეებმა ერთ დღეში საშეკეთო რემონტი გაუკეთეს 2 ვაგონს, ხოლო წლიური რემონტი—3 ვაგონს.

მუშაობის მისაბაძი მაგალითები მოგვცეს კომკავშირელებმა — კ. ლვიფანიძემ, გ. ბუქსაძემ, ე. ფესეიანიძემ და კ. ჯანელიძემ.

ვაგონთა მოცდენის შემცირება

ბათუმის სატვირთო სადგურის კოლექტივმა 102 პროცენტით შეასრულა ვაგონების დატვირთვისა და 103,1 პროცენტით გადამტვირთვის გეგმები. ამავე დროს სატვირთო ოპერაციების ნორმის ვაგონების მოცდენა ნორმასთან შედარებით შემცირებულია 1,3 საათით.

კოლექტივში მაღალი შრომის ნაყოფიერებით გამოირჩევა ბატარეელთა შემდგენელი გ. დობორჯგინაძე.

ახალი გამოგონებანი

რკინიგზელთა ტრადიციული დღესასწაულის აღსანიშნავად საგზაო სამმართველოსთან არსებულ რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროში შემოვიდა მრავალი ახალი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება. მათ შორის ყურადღებას იპყრობს თბილისის საორთქლმავლო დეპოს ელექტრომშედუღებლის დ. გუგუშვილის მიერ დამუშავებული ახალი კონსტრუქციის ხელსაწყო საორთქლმავლე ქვაბის შიგნიდან წყლის გაქვაებული ნალექის ამოსაღებად. ეს ხელსაწყო წარმოადგენს პნევმატიკურ ინსტრუმენტს, რომლითაც ქვაბს ადვილად შეიძლება მოვაშოროთ ეგრეთ წოდებული „ნადული".

რაციონალიზატორმა გ. ჯანფოლადომ დაამუშავა პროექტი ახალი დადგმულობისა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ხეტყის მასალის გაშრობა მაღალი სიხშირის დენით. ამ დადგმულობის გამართვის შემდეგ საკვანონ ფიცრების გაშრობა 500-ჯერ დაჩქარდება.

მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის

ამიერკავკასიის რკინიგზაზე მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის წელს საკრძნობი მუშაობაა გაწეული. ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსმა ამხ. ვ. გოცირიძემ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, კერძოდ, სამგზავრო სამსახური, მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. წინა წლებთან შედარებით წელს საკრძნობლად გადიდდა მატარებლების რიცხვი, უფრო კეთილმოწყობილია სამგზავრო ვაგონები. ჩვეულებრივი მატარებლების გარეა, ზაზზე მოძრაობენ დიზელმატარებლები და ელსარესები. გიიხსნა პირდაპირი მოძრაობა თბილისი-ახალციხის ზაზზე, თბილისი-რუსთავის უბანზე ახლა ყოველდღიურად მოძრაობს ხუთი საგარეუბნო მატარებელი, დიზელმატარებლების ვაგონებში მოეწყო გაძლიერებული ვენტილაცია. პირველ აგვისტოდან საკრძნობლად მეტრდება სამგზავრო ბილეთის ფასი დიზელმატარებლსა და თბილისი-მოსკოვის ზაზზე მომუშავე ელსარესზე, სამოლეთო სალარო-მთან ერთად აღმოფხვრის ბაზზე მეშინავე რიგების ფენომენი. ბაქო-ბათუმის ზაზზე ორ სამოლეთო სალარო. სამოლეთო სალარო გაიხსნა ფერეთელ ქობულეთში და სხვაგან.

წელს ვაგზლების შეკეთებისა და კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი იყო ხუთი მილიონი მანეთი. ამ თანხის 80 პროცენტი უკვე თვისებულია. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა სოჭის, გაგრის, სოხუმის, ბათუმის, გორის, სამტრედიის, ცხაკაიის სადგურებს. სწარმოებს თბილისის ვაგზლის რეკონსტრუქცია.

დიდი ყურადღება ექცევა ახალი ვაგზლების მშენებლობას. ახალი ვაგზლები შენდება გაგრაში, სოხუმში, ონამრირეში, ზუგდიდში, ინგირში, ცხაკაიასა და ბზიფში.

პირველ აგვისტოდან თბილისი-ფოთის ზაზზე იქნის სანიმუშო მატარებელი, რომელიც რკინიგზელის დღის აღსანიშნავად სამუშაოდან თავისუფალ დროს გააკეთეს სამგზავრო სამსახურის დარეკა მუშაკებმა — გამცილებლებმა, რომლებიც დაეუფლენენ დურგლობის, მხურვალის, მღებავისა და მრავალ სხვა პროფესიას.

დღითიდღე ფართოვდება გასულ წელს ჩვენს რკინიგზაზე დაწესებული ასოთასოოვანთა მოძრაობა. თბილისი-ბათუმის, თბილისი-სოხუმისა და თბილისი-ერევნის სამგზავრო მატარებელთა ბრიგადებმა (მატარებლების უფროსები ცეკფაურიშვილი, მელია, ეროსთავი, სტეფანიანი), უკვე გაანადღეს ნაკისრი ვალდებულება. მათ ასი ათას კილომეტრზე მეტი გაიარეს უერმონტოდ. ახლა, რკინიგზელის სტალინურ დღისთან დაკავშირებით იკისრეს ორასი ათასი კილომეტრის გავლა.

მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის თვალსაჩინო მუშაობაა გაწეული, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. სამგზავრო სამსახურის კოლექტივი რკინიგზის სამეურნეო ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ წარმატებით შესასრულოს ახალ ხუთწლედში მის წინაშე დასახული ამოცანა, კულტურულად მოემსახუროს მგზავრებს.

თბილისის სალოკომოტივო დეპო. უფროსი მემანქანე ა. ტატანაშვილი 15 წელია მუშაობს რკინიგზის ტრანსპორტზე. მას უფროსად დაჰყავს ელექტროფსპრესი „ისარი" თბილისი-ბოლოდანის მარშრუტით.

სურათზე: უფროსი მემანქანე ა. ტატანაშვილი ელექტროფსპრესი „ისართან".

ფოტო ვლ. ვინბერგისა.

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივის მიღწევები და ამოცანები

დღეს—საბჭოთა რკინიგზის ტრანსპორტის სრულიად საკავშირო დღეა, დღე განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შეჯამებისა, რკინიგზელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის ძალისა და ენერგიის მობილიზაციისა ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად.

რკინიგზელები თვითონ ტრადიციულ დღეს აღნიშნავენ მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უმაგალითო საბერნეო-პოლიტიკური აქტივობის, მასების შემოქმედებითი მუშაობის სწრაფი ზრდის ეთობრებაში, როდესაც გაზიდებულია საყოველთაო სახალხო ბრძოლა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესამე გადამწყვეტი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

პარტია და მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ და ამას ჩვენი რკინიგზელები ახალი საწარმოო მიღწევების მოპოვებით უპასუხებენ.

ჩვენი დიადი სამშობლოს რკინიგზელთა ოჯახში, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში, ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივს საპატო ადგილი უკავია.

რკინიგზელის სრულიად საკავშირო სტალინურ დღეს ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი მნიშვნელოვანი მიღწევებით შეხვდა: 1948 წლის პირველ ნახევარში დატვირთვის გეგმა შესრულებულია 124,3 პროცენტით, ხოლო გადმატვირთვისა 106,4 პროცენტით. ამასთან საკრძნობი გადაჭარბებითაა შესრულებული უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ტვირთნიდვის გეგმები—ბალნის, ქვანახშირის, ფეხეტინა და ნავთპროდუქტებისა.

ისეთ უმნიშვნელოვანეს სადგურთა კოლექტივებმა, როგორიცაა ნავთლი, სამტრედია, ხაშური, ქუთაისი და სხვები, მიმდინარე წლის შვიდი თვის გეგმები შეასრულეს 1948 წლის 10 აგვისტისათვის.

დიდ და სერიოზულ მუშაობას ეწევიან რკინიგზის სამმენელი ორგანიზაციები საქართველოში ახალი რკინიგზების გასაყვანად, სასადგურო შენობების, ვაგზლებისა და საცხოვრებელი სახლების აგების, რკინიგზების ელექტროფიკაციის, თბილისის ვაგზლის შენობის რეკონსტრუქციისა და საქართველოში პირველი ლოკომოტივსარემონტო ქარხნის აგებისათვის.

საქართველოს ყველა სარკინიგზო საწარმოში, დიდსა და პატარაში, ფართოდაა გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

მიმდინარე წლის 15 მაისს ხაშურის საელმავლო დეპოს მუშებმა და მოსაპასახურეებმა მოწოდებით მიმართეს კავკასიის ოლქის ყველა რკინიგზელს. ამ მოწოდებაში ხაშურელი მეელმავლეები სწერდნენ: „ვეყოლნობით რა მოპოვებულ მიღწევებს, ყველა ჩვენს შესაძლებლობათა გაეღლამით შესწავლის შედეგად ვკისრულობთ: რკინიგზელის სრულიად საკავშირო სტალინური დღისათვის — 1948 წლის 1 აგვისტოსათვის შევასრულოთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ცხრა თვის გეგმა". ხაშურელი მეელმავლეები დღეს სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ, რომ მათ ეს ვალდებულება პირნათლად შეასრულეს.

ხაშურელთა მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა სამეურნეო ერთეულთა კოლექტივები, სოხუმის განყოფილების კოლექტივმა იკისრა ამაგე დღისათვის შეესრულებინა დატვირთვის დარაში—ათი თვის გეგმა, ხოლო გადმატვირთვის დარაში—8 თვის გეგმა და თავის მხრივ შეეკიბრებაში გამოიწვია სამტრედიის განყოფილების კოლექტივი. სოხუმელებმა ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შეასრულეს.

შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად შორაპნის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა ორთქმამავალთა საშუალო რემონტის წლიური გეგმა 6 თვეში შეასრულა.

მთელ ამიერკავკასიის რკინიგზაზე წლიური გეგმა 6 თვეში 557 კაცმა შეასრულა. 237 კაცმა მომდინარე ხუთწლედის განვლილ ორწელიწადნახევრში შეასრულა ხუთიდან ცამეტმდე წლის ნორმა. მათ შორის 50 მეორთქმავლეა, რომლებმაც ხუთი ხუთი წლის ნორმა განანადღეს. ათი წლის ნორმა შეასრულა ორწელიწადნახევარში 8 კაცმა. მათ შორის არიან თბილისის საორთქმავლო დეპოს ზეინკლები ამხ. ხმიადაშვილი და ნიკოლაშვილი, სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს ხარატი ამხ. ხაბაშვილი, თბილისის საორთქმავლო დეპოს შემდუღებელი ამხ. პატარკაციშვილი, რომელსაც 13 წლის ნორმა აქვს განადღებული და სხვები.

საკარადგილო შრომელებს არა ერთხელ სმენიათ თბილისის საორთქლმავლო დეპოს ხაზოლავინი მეშანქანის ნიკოლოზ ყიფიანის სახელი, რომლის ინიციატივით დაიწყო მოძრაობა ორთქმლმავლის გარეცხეთა-შორისო გარბენის გასადიდებლად 30.000 კილომეტრამდე. ამ ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ საქართველოში და გარდა თბილისის საორთქლმავლო დეპოს მოწინავე მემანქანეებისა მასში აქტიურად ჩაებნენ სამტრედიელი მეორთქმავლეებიც, რომლებმაც მიზნად დაისახეს ორთქლმავალთა გარეცხეთა-შორისო გარბენი, დაწესებული 8.000 კილომეტრიდან გაადიდონ 30.000 კილომეტრამდე.

ამიერკავკასიის რკინიგზის მთელ რიგ საწარმოებში ფართოდაა დანერგილი მუშაობის ახალი მოწინავე მეთოდები, რაც შესანიშნავ შედეგებს იძლევა.

თბილისის საელმავლო დეპოში ინიერგია ჯგუფეა, რომელსაც გ. გუდფაიძე ხელმძღვანელობს, დაამუშავა ელექტრომავალთა სწრაფი რემონტის მეთოდი, რამაც კოლექტივს საშეალება მისცა 6 საათით შეემცირებინა ელექტრომავლის საშეალო რემონტისათვის დაწესებული დრო. სამტრედიის სავაგონო დეპოში ზეინკალმა მოონელიძემ მოაწყო უნივერსალური სადარავი ფაზა სავაგონო ფიცრების გასაბზადებლად. ამ დაზგის გამოყენების შედეგად სავაგონო ფიცრის თვითეული ბრძოვა მეტრის დამუშავების თვითღირებულება შემცირდა 13-დან 1,2 კაპიკამდე.

მოცემულ საწარმოო დავალებათა განხილებისათვის გარაჟებულ ბრძოლაში ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივს მიღწევებთან ერთად ზოგიერთი მნიშვნელოვან სამუშაო უბანზე აქვს სერიოზული ჩამორჩენაც. მაგალითად, მოძრაგი შემადგენლობის გამოყენების დარეგმა. მიმდინარე წლის გასული ექვს თვეში ვაგონთა საშუალო სადგეოდ ექვს თვეში ვაგონთა საშუალო სადგეოდ ექვს ოთხი ვაგონი. ეს ეფექტურობა ამ მოსახურება მნიშვნელოვნად გაუჯდომესა, მაგრამ მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებასთან შედარებით ეს მუშაობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ბზის სამმენელო ორგანიზაცია — „ბზამშენი", რომელიც ცუდად ითვისებს შენებლობისათვის გამოყოფილ თანხებს. ნახევარი წლის გეგმა ამ ორგანიზაციამ ძლივს შეასრულა 82 პროცენტით.

ეს და მრავალი სხვა ნაკლოვანება, რომელთაც ადგილი აქვთ ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობაში, იწვევს ტვირთნიდვის თვითღირებულების გაძიდვებს. 1948 წლის პირველ ნახევარში ტონა-კილომეტრის თვითღირებულებამ გეგმას 7,8 პროცენტით გადააჭარბა და ამას არ შეიძლება უარყოფილი გავლენა არ მოეხდინა გზის საფინანსო ბალანსზე.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამეურნეო და პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა მოპოვებული მიღწევების შენარჩუნებასთან ერთად უნდა შესძლონ გზის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად გამოსწორება. ამისათვის საჭიროა ყველა რგოლში განვაამტკიცოთ დისციპლინა და დავამყაროთ მტკიცე წესრიგი. ყველა მუშაკმა, სადაც და რომელ რგოლშიც ან უბანზეც უნდა მუშაობდეს, საჭიროა იცოდეს, რომ მას მოსთხოვენ თავის მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებას. ყოველი მუშაკი უნდა დავაყენოთ ამ ადგილზე, სადაც იგი მეტ ნაყოფს მოგვცემს თავისი საკრთო და ტექნიკური მომზადებულობის სრული გამოყენებით, სადაც მას უფრო მეტად შეეძლოს გამოაღლინოს თავისი უნარი.

1935 წელს რკინიგზელთა მიღებაზე კრემლში ამხანაგი სტალინმა სთქვა: „რკინიგზის ტრანსპორტის გადამწყვეტი და ყოველსმომცველი როლის რეალიზაციისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა მისი ყველა ნაწილის შეთანხმებულობა და მათი მუშაობა ხუსტად განსაზღვრული წესით. სწორედ ეს არის ის, რასაც ეწოდება დისციპლინა ტრანსპორტზე".

ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ რკინიგზელებს ჰყავთ მუშაკები მაღალ პოსტებზე და არამაღალ პოსტებზეც, მაგრამ არ არიან ტრანსპორტზე არასაჭირო, ან უმნიშვნელო მუშაკები. ყველაზე დიდი ხელმძღვანელებიც დაწყებული და სულ „ჰატარა" მუშაკებით — მეიერები, გამზეთავები, დამლაგებლები დამთავრებული. ყველანი დიდნი, ყველანი მნიშვნელოვანნი არიან. ვინაიდან ტრანსპორტი წარმოადგენს კოლეკტივს, სადაც მნიშვნელობა აქვს თვითეულ მუშაკს, თვითეულ ხრახნს.

დიდი სტალინის ეს მითითებანი მუდამ უნდა ახსოვდეთ ამიერკავკასიის რკინიგზელებს და გამოიყენონ ისინი თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში. უამისოდ წარმოუდგენელია ისეთი რთული მეკანიზმის შეუფერხებელი მუშაობა, როგორიც რკინიგზის ტრანსპორტია.

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივის წინაშე მდგომი პასუხსაგები ამოცანების შესრულებისათვის საჭიროა ყველგან დავამყაროთ უსასტაკესი საწარმოო და შრომითი დისციპლინა, შემდგომი გაუმჯობესება შეეტანოთ ტექნოლოგიურ პროცესებში, მივაღწიოთ ტრანსპორტის საწარმოთა რენტაბელობას, უზრუნველვყოთ ტვირთების დაცვა, გადაჭრით გავაუმჯობესოთ რკინიგზელთა კულტურულ-ყოფაცხოვრებით მომსახურება.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავაძლიეროთ ტრანსპორტის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მორგანიზებელი როლი და მათი მთელი ყურადღება მიგმართოთ ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების გადაწყვეტისაკენ. სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად, საჭიროა საკვნძოდ და პირველადა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ კადრებთან მუშაობა, მათი აღზრდა, სტახანოველთა და კრიჭონოსელთა რიგების გაძლიერება, მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაცია.

პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში მთავარ ამოცანად უნდა დავისახოთ პარტიული ორგანიზაციების გაფლენის გაფრცელება ყველა კატეგორიის მუშაკებზე, ყველა რკინიგზელზე.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე არის ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ მივაღწიოთ მუშაობის შემდგომ მკეთრ აღმავლობას. ამიერკავკასიის რკინიგზელებს, რომლებიც სტალინურ ტრადიციებზე აღზარდა ლაგრენტი პავლეს-ძე ბერიამ, არა ერთხელ უნვეთია თავისი დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ და შემდგომაც, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მტკიცედ გასწევს წინ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად.

მ. ბალაბაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში.

ᲨᲝᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲠᲝᲛᲘ, 30 ივლისი. (საგდელი). დღეს გაზეთმა „ეროტა“-ᲛᲘ გამოაქვეყნა ტოლიატის პირველი მოკლე განცხადება მასზე თავდასხმის შესახებ.

„ᲨᲔᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ“, — სთქვა ტოლიატიმ, — ᲛᲘᲜᲐᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲒᲐᲚᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, რომელმაც ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐ. ᲛᲔ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲑᲘ ᲛᲔᲡᲘᲜᲠᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲘᲗᲔᲑᲓᲐᲡ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲗ

„ᲨᲔᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ“, — სთქვა ტოლიატიმ, — ᲛᲘᲜᲐᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲔᲣᲦᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲘᲗᲘᲜᲒᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐ